სამაგისტრო ნაშრომი:

მდგრადი ეკო-ტურიზმის ცენტრი

მაგისტრი: მუკუტაძე ლაშა

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ბიზნესის ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტზე

სამაგისტრო პროგრამა: თანამედროვე არქიტექტურა და მდგრადი განვითარება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნანო (ნანა) ზაზანაშვილი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი 2023 წელი

სარჩევი

აბსტრაქტი ---------- 3

შესავალი ---------- 4

1. ეკო-ტურიზმი და მისი მთავარი პრინციპები ---------- 5

2. კოლხეთის ეროვნული პარკი ---------- 7

2.1 ზოგადი დახასიათება ---------- 7
2.2 ფლორა და ფაუნა ---------- 10
2.3 კლიმატის ანალიზი ---------- 11
2.4 გეოლოგია - ტერიტორიის ზოგადი მონაცემები ---------- 13
2.5 ტურიზმი ---------- 15

3. ტრადიციული არქიტექტურა და ხელმისაწვდომი მასალები ---------- 17

3.1 ადგილობრივი არქიტექტურა ---------- 17
3.2 ადგილობრივად ხელმისაწვდომი მასალები ---------- 19

4. ეკო-ტურიზმის არქიტექტურა. საერთაშორისო გამოცდილება ---------- 26

4.1 ნახშირბად ნეიტრალური ლოჯიები, ტანზანია ---------- 23
4.2 გუმბათოვანი ეკო რეზორტი, შვეიცარია ---------- 25
4.3 საფარის ეკო რეზორტი, კენია ---------- 26
4.4 ფეინანის ეკოლოჯიები, იორდანია ---------- 29
4.5 ლურჯი თიხის სპა, ლატვია ---------- 32

5. საპროექტო ტერიტორიის შერჩევა ---------- 37

6. კლიმატის ანალიზი ---------- 43

7. მიღებული შედეგები ---------- 52

7.1 რადიასიის ანალიზი ---------- 52
7.2 დღის განათებულობა ---------- 58
7.3 ბუნებრივი განიავება გაგრილება ---------- 60
7.4 თერმული კომფორტი ---------- 70

დასკვნა ---------- 73

გამოყენებული ლიტერატურა ---------- 74

აბსტრაქტი

ნაშრომი ფოკუსირებულია ეროვნული პარკის ფარგლებში მდგრადი ეკო-ტურიზმის ცენტრის დიზაინზე, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მდგრადი შენობების დიზაინის პრინციპებს, მინიმუმამდეა დაყვანილი გარემოზე ზემოქმედებით. კვლევის მიზანია შეისწავლოს და შემოგვთავაზოს სტრატეგიები ეკოლოგიურად სუფთა ობიექტის შესაქმნელად, რომელიც ხელს შეუწყობს როგორც ტურიზმის განვითარებას ასევე გარემოზე ზრუნვას. მეთოდოლოგია მოიცავს სპეციალიზებული პროგრამების გამოყენებას და მათი დახმარებით მაქსიმალურად ეკომეგობრული დიზაინის შემუშავებას. ამ პროგრამებით მიღებული მონაცემების ანალიზით ნაშრომი მიზნად ისახავს წარმოვადგინო მდგრადი მიდგომა ეკოტურიზმის ცენტრის პროექტირების მიამრთულებით.

ნაშრომში განხილულია ეკო-ტურიზმის ცენტრის პროექტირების პროცესი კოლხეთის ეროვნული პარკის ტერიტორიის შემთხვევაში. შესავალში განიხილება ეკო-ტურიზმის განსაზღვრება და ის ძირითადი პრინციპები რასაც უნდა აკმაყოფილებდეს პასუხისმგებლიანი ეკო-ტურიზმი, ხოლო ამის შემდგომ განხილულია ის ძირითადი მოთხოვნები რომლებიც შენობებს წაეყენებათ მდგრადი ეკო-ტურიზმის ცენტრის არსებობის შემთხვევაში.

ასევე განხილულია ის საერთაშორისო მაგალითები, სადაც მსგავსი მოცემულობა და საჭიროებები არსებობდა. განხილულ იქნა ტერიტორიის მნიშვნელობა, მდებარეობა, ტურიზმი და მასთან დაკავშირებული პრობლემები. ყველა ამ მონაცემების გათვალისწინებით დადგენილი იქნა მოთხოვნები და პროპორციები რომლებიც გადანაწილდა სამი საპროექტო ადგილის მიხედვით.

კვლევის შემდგომი ნაწილი ეთმობა ტერიტორიის ანალიზს, სადაც ნაშრომის სპეციფიკიდან გამომდინარე დიდი ყურადღება დაეთმო კლიმატური პირობების დეტალურ გაშლას და შენდგომში პროექტის დეტალურ ანალიზს.